არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 1/27

ქ. თელავი 28იანვარი 2013 წ.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის გაზაფხულის სემესტრის შიდამობილობის ვადების განსაზღვრის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის ბრძანება №209/ნ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმარლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესისის“ საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2013 წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვადა განისაზღვროს 2013 წლის 30 იანვრიდან 2013 წლის 28 თებერვლის ჩათვლით;
2. დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შიდა მობილობის შედეგები წარმოადგინოს 2013 წლის 8 მარტამდე;
3. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანების უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსება;
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

უნივერსიტეტის რექტორი თინათინ ჯავახიშვილი